ენათმეცნიერება Linguistic

ფერის თვისებათა სპარსულ სახელწოდებათათვის

ფატმან ანთაძე-მალაშხია, გიორგი ჯგერენაია
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
e-mail: fati.antadze@yahoo.com
e-mail: giorgi.jgerenaia818@hum.tsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.02
SJIF 2026: 8.679

ფერის ზოგად თვისებათა შესაბამისი სპარსული ზედსართავები ორი ჯგუფითაა წარმოდგენილი:

*I - **ნათლის**, **ბრწყინვალების**, **გამჭვირვალობის**, **უფერულობისა** (35 ერთეული) და II - **სიბნელე-სიმუქის**, **სიმქრქალის** (21 ერთეული) აღმნიშვნელი სახელწოდებებით.*

ეს სიტყვები განხილულია ეტიმოლოგიური წარმომავლობის, მორფოლოგიური სტრუქტურის, სტილისტური მარკირებისა და პოლისემიურობის მიხედვით.

ორივე ჯგუფში ერთიანად წარმოდგენილია 23 არაბიზმი, 16 არქაიზმი, 4 კოლოკვიალიზმი, 12 სუფიქსური დერივატი, 2 კომპოზიტოიდი და 12 კომპოზიტი.

I ჯგუფი 30 პოლისემანტს მოიცავს. მათ შორის 11 გრამატიკული და 10 თემატური პოლისემანტია. II ჯგუფში წარმოდგენილ 17 პოლისემანტთა მწკრივში 6 ერთეული გრამატიკულ, 14 კი თემატურ პოლისემანტად გვევლინება.

*გრამატიკული პოლისემანტები მეტწილად აერთიანებენ არსებითისა და ზედსართავის მნიშვნელობებს. იშვიათად გვხვდება ზმნიზედური მნიშვნელობაც (მაგალითად, **صاف** [sāf] ზედ. სახ. 1) „ნათელი; სუფთა; გამჭვირვალე“; 2) „უბოროტო“; არს. სახ. 3) სასაუბრო „ანკარა და უნალექო/შეუმღვრეველი ღვინო“; ზმნზდ. 4) სასაუბრო „პირდაპირ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე; ღიად, გულწრფელად“).*

*საკვლევ სახელწოდებათა გაარსებითებისას გვხვდება ანთროპონიმიზაციის შემთხვევებიც (მაგალითად, ქალის საკუთარი სახელი **تابان** [tābān] „ნათელი; მბრწყინავი; ელვარე“; მამაკაცის საკუთარი სახელი **فرمند** [farmand] 1) „კაშკაშა, მბრწყინავი, ელვარე“; 2) „მცოდნე, გრძენი“).*

*მცირედად დასტურდება შეზღუდული ვალენტობის ზედსართავებიც (მაგალითად, **داج** [dāj] მოძვ. „უკუნი, კუნაპეტი, ძალიან ბნელი (ითქმის ღამეზე)“.*

***ნათელი** და **ელვარე** თემატური პოლისემიის შემთხვევებში ასოცირებულია გამჭვირვალობასთან, ზოგადად ღია ფერთან, სითეთრესთან, ასევე ნაცრისფერ-ფერფლისფერთან, წითელთან და მწვანესთან (მაგალითად, **اشهب** [ašhab] მოძვ. 1) „ნათელი; თეთრი“; 2) „შავ-თეთრი, ნაცრისფერი“; **افروخته** [afruxte] 1) „ნათელი, ანთებული“; 2) „აწითლებული - ბრაზისგან“; **سرسبز** [sarsabz] 1) „მწვანე; ამწვანებული; 2) მოძვ. „ნათელი, ელვარე“).*

*არათემატური ტიპის პოლისემიურ კავშირებში ჩანს **ნათლისა** და **ელვარეს** მიმართება დადებითი ან ნეიტრალური კონოტაციის სიტყვათმნიშვნელობებთან (მაგალითად, **صاف** [sāf] 1) „ნათელი; სუფთა; გამჭვირვალე“; 2) „უბოროტო;“; 3) „გლუვი“).*

ნათლისა *და* ***ელვარების*** *მნიშვნელობათა საფუძველზე განვითარებულ სიტყვათმნიშვნელობებში იშვიათად ჩანს უარყოფითი კონოტაცია* **آذررنگ** *[āzarrang] 1) ზედ. სახ. „ნათელი, ელვარე“; 2) არს. სახ. „დარდი; ტანჯვა“. აქ* ***დარდისა*** *და* ***ტანჯვის*** *მნიშვნელობა ეფუძნება ნათლისა და ელვარების ასოციაციას ცეცხლთან, წვასთან).*

თემატური ტიპის პოლისემიისას ***სიბნელე*** *და* ***სიმუქე*** *ასოცირებულია სიმქრქალესთან, შავ, მუქ ლურჯ, ნაცრისფერ, ხორბლისფერ და ასევე მწვანე ფერებთან (მაგალითად,* **خشین** *[khašin] 1) „მუქი ლურჯი; 2) „შავი“; 3) „ნაცრისფერი“; 4) „მუქი ფერის“;* **سبزارنگ** *[sabzārang] მოძვ. 1) „მწვანე“; 2) „შავგრემანი; ხორბლისფერი“). გვაქვს ენანტიოსემიის შემთხვევაც –* **گندمی** *[gandomi] 1) „თეთრსა და მწვანეს შორის“, ანუ* ***ღია, ბაცი****; 2) „მუქი“.*

სიბნელისა *და* ***სიმუქის*** *აღმნიშვნელ ზედსართავებში არათემატური პოლისემიის საფუძველი* ***სიბნელისა*** *და* ***სიმუქის*** *ასოციაციაა უარყოფითი შინაარსის სხვადასხვა ცნებებთან (მაგალითად,* **مظلم** *[mozlem] მოძვ. 1) „ბნელი“; 2) „პირქუში, საშიში“).*

დასტურდება ერთი შემთხვევა, როცა ***სიბნელე*** *და* ***სიმუქე*** *ასოცირდება დადებით კონოტაციასთან –* **موژان** *[mužān] მოძვ. 1) „ბნელი, მუქი“ (ითქმის თვალზე); 2) „მიბნედილი; კეკლუცი“.*

ნაცრისფრისა *და* ***მწვანის*** *პოლისემიური კავშირი ანტონიმური შინაარსის* ***ნათელთან*** *და* ***მუქთან*** *ასახავს ამ ორი სახელწოდების მიმართებას ფერის როგორც* ***ნათელ****, ასევე* ***მუქ*** *ტონალობებთან.*

საკვანძო სიტყვები: *ფერის ზედსართავები, ფერის სპარსული ზედსართავები*

ფერთა აღმნიშვნელი სახელწოდებების შესწავლა მრავალი ათეული წელია ენათმეცნიერთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს როგორც ზოგადთეო-რიული გააზრების, ასევე კონკრეტული ენობრივი მასალის ანალიზის კუთხით.

ფერთა ლექსიკის კვლევის მეთოდოლოგია საკმაოდ განსხვავებული გზებითაა წარმოდგენილი. ხსენებული განსხვავებები ძირითადად გულისხმობს რელატივისტურ, კერძოდ, სემანტიკურ სტრუქტურათა ფარდობითობაზე დაფუძნებულ (სეპირი, 1921; უორფი, 1956) მიდგომასა და ამ მიდგომის საპირისპიროდ სემანტიკურ უნივერსალიებზე ორიენტირებულ ხედვას (ბერლინი; ქეი, 1969). რიგ ენათმეცნიერთა მიერ ორივე მიდგომა კრიტიკულად გადააზრებულია (ვეჟბიცკა, 1996: 231-290; ლუსი, 1997; ფრუმკინა, 1984).

ვფიქრობთ, კონკრეტული ენის ფერთა ლექსიკის კვლევა, პირველ რიგში, წმინდა ლინგვისტურ ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს, რაც მოიცავს სემანტიკურ, მორფოლოგიურ, სტილისტურ და ეტიმოლოგიურ მხარეებს.

ფერთა აღმნიშვნელი სპარსული სახელწოდებები საფუძვლიანად გამოიკვლია ქართველმა ირანისტმა თ. ფაშალიშვილმა თავის მეტად მნიშვნელოვან ნაშრომში. მან საკვლევი მასალა გააანალიზა მორფოლოგიური სტრუქტურის, სემანტიკური შინაარსისა და სიმბოლიკის თვალსაზრისით (ფაშალიშვილი, 1991). მოგვიანებით გამოქვეყნდა სხვა ნაშრომებიც ფერთა აღმნიშვნელ სპარსულ სახელწოდებათა სიმბოლიკის შესახებ (ალიაქბარი, 2025, ამუზადე, 2012; ღაფელი, 2013). ცალკეული სტატია მიეძღვნა ზოგადად ფერის ცნების გამოხატულებას სპარსულში (ანთაძე-მალაშხია, 2026). დაიწერა სამაგისტრო ნაშრომი, რომელშიც ყურადღება

ძირითადად ფერთა აღმნიშვნელ სპარსულ სახელწოდებებათა ურთიერთმიმართებებზეა გამახვილებული (ჯგერენაია, 2026).

წინამდებარე სტატიაში განხილულია ფერის თვისებათა აღმნიშვნელი სპარსული სახელწოდებები.

გერმანელმა ფიზიოლოგმა ე. ჰერინგმა ერთმანეთისგან განაცალკევა ქრომატული/ფერადი და აქრომატული/უფერული ფერები. მისი კონცეფციის მიხედვით, აქრომატული ფერებს შორის განსხვავებას მხოლოდ სინათლის/განათების ხარისხი განაპირობებს, ხოლო ქრომატულ ფერებს კი ერთმანეთისგან განასხვავებს სინათლის/განათების ხარისხი, ელფერი და სისავსე/ნაჯერობა. თეთრი, შავი და ნაცრისფერი ჰერინგმა აქრომატულ ფერთა ჯგუფს, სხვა ფერები კი ქრომატულ ჯგუფს მიაკუთვნა (ჰერინგი, 1920).

ფერის ზოგადი თვისებები, კერძოდ, სინათლე-სიკაშკაშე, ბრწყინვალება, გამჭვირვალობა, უფერულობა და სიბნელე-სიმუქე სპარსულში შესაბამისი ზედსართავებითაა გამოხატული. ამ ტიპის სპარსულ ლექსიკას თამარ ფაშალიშვილი ნაწილობრივ განიხილავს თეთრთან და შავთან მიმართებაში, როგორც მათ დამატებით ელფერებს. სინათლე-სიკაშკაშის, ბრწყინვალების, გამჭვირვალობის და უფერულობისა აღმნიშვნელი სახელწოდებები დაჯგუფებულია თეთრი ფერის აღმნიშვნელ სიტყვებთან და შესაბამისად, გააზრებულია როგორც თეთრი ფერის სპეციფიკური სახეობა (ფაშალიშვილი,1991: 35-42), ხოლო სიბნელე-სიმუქესთან დაკავშირებული ლექსიკა შავი ფერის აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფშია გაერთიანებული (ფაშალიშვილი, 1991 : 29-33).

წინამდებარე ნაშრომში ამგვარი სახელწოდებები ცალკეულ ჯგუფებად გამოვყავით, რამდენადაც სინათლე-სიკაშკაშის, ბრწყინვალების, გამჭვირვალობის, უფერულობისა და სიბნელე-სიმუქის აღმნიშვნელი ლექსიკა მხოლოდ თეთრთან და შავთან არაა ასოცირებული.

ნათლისა და ელვარეს მნიშვნელობით მოძიებულია 35 ზედსართავი:

آذرنگ [āzarang] *მოძვ.* „ნათელი, ელვარე“; **اشهب** [ašhab] *არაგ. მოძვ.* „ნათელი“; **افروخته** [afruxte] „ნათელი“; **انور** [anvar] *არაგ.* „ნათელი, კაშკაშა“; **براق** [barrāq] *არაგ.* „ელვარე, მბრწყინავი“; **بیضاء** [beizā] *არაგ. მოძვ.* „ნათელი, ელვარე“; **پرنور** [pornur] *არაგ.-სპარს.* „ნათელი, კაშკაშა“; **تابان** [tābān], **تابدار** [tābdār], **تابناک** [tābnāk] და **تابنده** [tābande] „ნათელი; მბრწყინავი; ელვარე“; **درخشان** [deraxšān]/**درخشانده** [deraxšānde] „მანათობელი, ელვარე“; **روشن** [roušan] 1) „ნათელი“; 2)„მოკაშკაშე, მოელვარე“; **روشنای** [roušanā(i)] „ნათელი; ელვარე“; **زاهر** [zāher] *არაგ. მოძვ.* „ნათელი; ელვარე“; **ساطع** [sāte’] *არაგ.* „ნათელი; კაშკაშა, ელვარე“; **سرسبز** [sarsabz] *მოძვ.* „ნათელი, ელვარე“; **شفاف** [šāfaf] *არაგ.* „ნათელი; კაშკაშა, ელვარე“; **شوخرنگ** [šurxrang] „ძალზე კაშკაშა, მყვირალა (ფერზე)“; **صاف** [sāf] *არაგ.* „ნათელი; სუფთა; გამჭვირვალე“; **فرمند** [farmand] *მოძვ.* „კაშკაშა, მბრწყინავი, ელვარე“; **فروغبخش** [foruqbaxš] „კაშკაშა, მბრწყინავი“; **فروغمند** [foruqmand] 1)„კაშკაშა, ელვარე“; 2)„ნათელი“; **فروغناک** [foruqnāk] *მოძვ.* „ნათელი; კაშკაშა“; **لامع** [lāme’] *არაგ. მოძვ.* „ნათელი; მბრწყინავი; ელვარე“; **لماع** [lamā’] *არაგ. მოძვ.* „თვალისმომჭრელად ელვარე“; **متجلی** [motajalli] „ბრწყინვალე, კაშკაშა, ელვარე“; **مشعشع** [moša'ša'] *არაგ.* „კაშკაშა, მბრწყინავი“; **منجلی** [monjali] *არაგ.* „ელვარე; კაშკაშა“; **منور** [monavvar] *არაგ.* „განათებული, გაბრწყინებული; ნათელი“; **منیر** [monir] *არაგ.* „ნათელი, ელვარე“; **نورانی**

[nurāni] *არაბ.-სპარს.* „ნათელი“; **نیر** [nayyer] *არაბ.* „ნათელი; ელვარე“; **وهاج** [vahāj] *არაბ. მოძვ.* „ელვარე; თვალისმომჭრელად კაშკაშა“.

წარმოდგენილ ლექსიკურ ჯგუფში დომინანტურია **روشن** [roušan], **تابان** [tābān], **تابدار** [tābdār], **تابنده** [tābande] და **درخشان** [deraxšān] ლექსემები.

ეს ჯგუფი ფაქტობრივად ქმნის სინომიმურ მწკრივს, რომელსაც ჰიპონიმურად ექვემდებარება **شوخرنگ** [šuxrang] „ძალზე კაშკაშა, მყვირალა (ფერზე)“, **لماع** [lamā’] „თვალისმომჭრელად ელვარე“ და **وهاج** [vahāj] „ელვარე; თვალისმომჭრელად კაშკაშა“.

დასტურდება გამჭვირვალობის 3 და უფერულობის აღმნიშვნელი 4 ზედსართავი:

آبگون [ābgun] *მოძვ.*, **شفاف** [šāfaf] „გამჭვირვალე“ **زلال** [zolāl] „გამჭვირვალე, ანკარა (წყალზე)“;

کمرنگ [kamrang] „მკრთალი; უფერული“, **رنگپریده** [rangparide], **نیمرنگ** [nimrang] „მკრთალი, ფერწასული“ და **زرد** [zard] *ზედ. სახ.* 1)„ყვითელი“; 2)„უფერული (ითქმის სახეზე)“.

زلال [zolāl] და **زرد** [zard] შეზღუდული ვალენტობის ზედსართავებია, რამდენადაც ერთი მიმართებაშია მხოლოდ წყლის გამჭვირვალობასთან, მეორე კი სახის უფერულობასთან.[1]

განსახილველი ლექსიკური ჯგუფის რიგი კომპონენტები არაერთგვა-როვანია ეტიმოლოგიური წარმომავლობის, მორფოლოგიური სტრუქტურისა და სტილისტური მარკირების მიხედვით.

18 სიტყვა არაბულიდანაა სპარსულში შესული:

اشهب [ašhab]; **انور** [anvar]; **براق** [barrāq]; **بیضاء** [beizā]; **ساطع** [sāte’]; **شفاف** [šāfaf]; **صاف** [sāf]; **زاهر** [zāher]; **زلال** [zolāl]; **لامع** [lāme]; **لماع** [lamā’]; **متجلی** [motajalli]; **مشعشع** [moša'ša']; **منجلی** [monjali]; **منور** [monavvar]; **منیر** [monir]; **نیر** [nayyer]; **وهاج** [vahāj].

ჰიბრიდული სიტყვებია კომპოზიტი **پرنور** [pornur] და სუფიქსური დერივატი **نورانی** [nurāni]. **پرنور** [pornur]-ის პირველი კომპონენტი **پر** [por] „სავსე“ საკუთრივ სპარსული სიტყვაა, მეორე კომპონენტი **نور** [nur] „სხივი“ კი არაბიზმია. მიმართებითობის მაწარმოებელ სუფიქს -āni-ის მეშვეობით **نور** [nur]-იდანაა ასევე წარმოქმნილი **نورانی** [nurāni].

მოძველებულ სიტყვებს განეკუთვნება 10 ლექსიკური ერთეული: **آبگون** [ābgun], **آذرنگ** [āzarang], **اشهب** [ašhab], **بیضاء** [beizā], **زاهر** [zāher], **سرسبز** [sarsabz], **فرمند** [farmand], **لامع** [lāme’], **لماع** [lamā’] და **وهاج** [vahāj]. დანარჩენი სიტყვები სტილისტურად ნეიტრალურია.

გვაქვს 10 დერივატი – გაზედსართავებული აწმყოს მიმღეობები **تابان** [tābān] და **درخشان** [deraxšān], რომლებიც შედგება **تابیدن** [tābidan] და **درخشیدن** [deraxšidan] ნახევარსუფიქსთაგან/ზმნათა აწმყოს ფუძეებისგან **تاب** [tāb], **درخش** [deraxš][2] და აწმყოს მიმღეობის მაწარმოებელ სუფიქს -**ān**-ისგან. **تابنده** [tābande] და **درخشنده** [deraxšande] კი მიღებულია აწმყოს მიმღეობის სხვა მაწარმოებელ სუფიქს -**ande**-ს დართვით. გვაქვს ასევე ნამყოს მიმღეობის სუფიქს -**e**-თი ნაწარმოები **افروختن**

[1] შეზღუდული ვალენტობა, ანუ სუსტი დისტრიბუცია გულისხმობს, რომ ამა თუ იმ ზედსართავს მიმართება აქვს მხოლოდ ერთ საგანთან, ცნებასთან ან საგანთა და ცნებათა ძალზე მცირე ჯგუფთან. მის საპირისპიროდ, ფართო ვალენტობის, ანუ მძლავრი დისტრიბუციის ზედსართავი ფარავს საგანთა თუ ცნებათა ვრცელ ჯგუფს, როგორც მაგალითად, **زرد** [zard]-ის პირველადი მნიშვნელობა „ყვითელი“.

[2] **تابیدن** [tābidan] 1)„ბრწყინვა - ბრწყინავს“; 2)= **تافتن** [tāftan] „გახურება - ახურებებს; ხურდება“ და **درخشیدن** [deraxšidan] 1)„ბრწყინვა - ბრწყინავს; ელვა - ელავს“; 2) „ვარვარი - ვარვარებს“.

[afruxtan] ზმნის[1] გაზედსართავებული ნამყოს მიმღეობა **افروخته** [afruxte] და **تاب** [tāb], **فروغ** [foruq], **فر** [far]- ზე [2] –**nāk** და -**mand** სუფიქსების დართვით ნაწარმოები **تابناک** [tābnāk], **فروغناک** [foruqnāk], **فروغمند** [foruqmand] და **فرمند** [farmand], ასევე სუფიქს -āni-ით ნაწარმოები **نورانی** [nurāni].

დასტურდება 7 დეტერმინანტული კომპოზიტი, რომელთაგან ზოგიერთში წარმოდგენილია ზოგადად ფერის აღმნიშვნელი ლექსემები **رنگ** [rang] და *მოძვ.* **گون** [gun]:

آبگون [ābgun] *სიტყვასიტყვით* „წყლისფერი“**;** **آذرنگ** [āzarang] *სიტყვასიტყვით* „ცეცხლისფერი“**,** **پرنور** [pornur] *სიტყვასიტყვით* „სხივით სავსე“**,** **سرسبز** [sarsabz] *სიტყვასიტყვით* *„თავი მწვანე“**;** **شوخرنگ** [šuxrang] *სიტყვასიტყვით* „ლამაზი, მხიარული ფერისა“**;** **کمرنگ** [kamrang] *სიტყვასიტყვით* „ფერნაკლული“**;** **نیمرنگ** [nimrang] *სიტყვასიტყვით* „ნახევარფერისა“ და **پریدن** [paridan][3] ზმნის ნამყოს მიმღეობით წარმოებული **رنگپریده** [rangparide] *სიტყვასიტყვით* „ფერგაფრენილი; ფერგამქრალი“.

გვაქვს 2 კომპოზიტოიდი, ანუ სპარსულში ნახევარსუფიქსად ფუნქციონი-რებადი ზმნის აწმყოს ფუძით (აქ **baxš**-ითა და **dār**-ით) ნაწარმოები სიტყვა:

فروغبخش [foruqbaxš] *სიტყვასიტყვით* „ნათლის, სხივის გამცემი“ და **تابدار** [tābdār] *სიტყვასიტყვით* „ნათლის, სხივის მქონე“.

ნათლის, ბრწყინვალის, გამჭვირვალისა და უფერულის მნიშვნელობის მქონე ზედსართავთა ვრცელ ლექსიკურ ჯგუფში 29 სიტყვა პოლისემიურია. ამ ჯგუფის პოლისემანტთა სიტყვათმნიშვნელობების მაქსიმალური რიცხვი 14-ს აღწევს:

آبگون [ābgun] *მოძვ. ზედ. სახ.* 1) „წყლისფერი“; 2) „ცისფერი; ლაჟვარდისფერი“; 3) „გამჭვირვალე“;

آذرنگ [āzarang] *მოძვ.ზედ. სახ.* 1) „ნათელი, ელვარე“; *არს. სახ.* 2) „დარდი; ტანჯვა“; 3) ქალის ან მამაკაცის საკუთარი სახელი;

اشهب [ašhab] *მოძვ.ზედ. სახ.* 1) „ნათელი; თეთრი“; 2) „შავ-თეთრი, ნაცრისფერი, ფერფლისფერი“; *არს. სახ.* 3) „ნაცრისფერი ცხენი“;

افروخته [afruxte] *ზედ. სახ.* 1) „ნათელი, ანთებული“; 2) „გაბრაზებული; აწითლებული“;

انور [anvar] *ზედ. სახ.* 1) „ნათელი, კაშკაშა“; 2) „პატივსაცემი“; *არს. სახ.* 3)მამაკაცის საკუთარი სახელი;

بیضاء [beizā] *ზედ. სახ.* 1) „თეთრი“; 2) „ნათელი, ელვარე“; *არს. სახ.* 3) „სითეთრე; ნათელი; ელვარება“;

تابان [tābān] *ზედ. სახ.* 1) „ნათელი; მბრწყინავი; ელვარე“; *არს. სახ.* 2) გამოსხივება; 3) ქალის საკუთარი სახელი;

تابناک [tābnāk] *ზედ. სახ.* 1) „მიმზიდველი და შესამჩნევი“; 2) „ნათელი, ელვარე“; 2) „საუკეთესო; ძვირფასი“;

درخشان [deraxšān] *ზედ. სახ.* 1) „მანათობელი, ელვარე“; 2) „თვალშისაცემი, ყურადღების მიმქცევი“; 3) „წარმატებული“; 4) „მდიდრული, აყვავებული, დიდებული“;

---

[1] **افروختن** [afruxtan] „გაბრწყინება - აბრწყინებს; განათება - ანათებს“.

[2] **تاب** [tāb] „ბრწყინვალება, ნათება“; **فروغ** [foruq] „ბრწყინვალება, ნათება, ელვარება“; **فر** [far] „ნათელი, ნათება, სხივი; დიდებულება“.

[3] 1)„გაფრენა - მიფრინავს“; 2)„აორთქლება/გაქრობა - ორთქლდება/ქრება“.

روشن [roušan] *ზედ. სახ.* 1) „ნათელი“; 2) „ანთებული“; 3) „დაძრული, ამუშავებული“; 4)„მოკაშკაშე, მოელვარე“; 5) „ღია ფერის“; 6) „აშკარა, ცხადი, გასაგები“; 7) „მცოდნე, ჩახედული, გათვიცნობიერებული“; 8) *მოძვ.* „მხედველი“; 9) *მოძვ.* „გახარებული“; 10) *მოძვ.*. „პატიოსანი“; 11) *მოძვ. გადატ.* „პატიოსანი“; 12) *მოძვ. გადატ.* „ცნობილი“; *მოძვ.ზმნზდ.* 13) „ცხადად, გარკვევით“; *არს. სახ.* 14) ქალის საკუთარი სახელი;

روشنای [roušanā(i)] *ზედ. სახ.* 1) *მოძვ.* „ნათელი; ელვარე“; *არს. სახ.* 2) „განათებული ადგილი“; 3) „სარკმელი“;

زاهر [zāher] *ზედ. სახ.* 1) „ნათელი, ელვარე“; 2) „ცხადი“; 3) „გამორჩეული“; 4) „აყვავებული, ქორფა, არომატული“;

زرد [zard] *ზედ. სახ.* 1)„ყვითელი“; 2)„უფერული (ითქმის სახეზე)“;

ساطع [sāte’] *ზედ. სახ.* 1) „ელვარე, მანათობელი“; 2) *მოძვ.* „აშკარა, ცხადი“; 2) *მოძვ.* „გაფანტული; გამოქვეყნებული“;

سرسبز [sarsabz] *ზედ. სახ.* 1) „მწვანე; ამწვანებული; ახლად შეღერებული; გაფუ-რჩქვნილი, აყვავებული“; 2) „კეთილდღეობაში მყოფი; აყვავებული“; 3) „სიცოცხ-ლით სავსე, ხალისიანი“; 4) *მოძვ.* „ნათელი, ელვარე“;

شفاف [šafāf] *ზედ. სახ.* 1) „ნათელი; კაშკაშა, ელვარე“; 2) „გამჭვირვალე“;

صاف [sāf] *ზედ. სახ.* 1) „ნათელი; სუფთა; გამჭვირვალე“; 2) „მზიანი; უღრუბლო“; 3) „კეთილხმოვანი; მელოდიური“; 4) „ანკარა და უნალექო“; 5) „გლუ-ვი“; 6) „სწორი; ბრტყელი“; 7) „სუფთა გულის, უბოროტო; წრფელი“; 8) „ცხადი, აშკა-რა“; *ზმნზდ.* 9) *მოძვ. სასაუბრო* „ჯიუტად, თავხედურად“; 10) *სასაუბრო* „პირდაპირ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე; ღიად, გულწრფელად“; 11) *სასაუბრო* „სუფთად, პირწმინ-დად, სრულად“; *არს. სახ.* 12) *მოძვ. სასაუბრო* „ანკარა და უნალექო/შეუმღვრეველი ღვინო“;

فرمند [farmand] *ზედ. სახ.* 1) „დიდებული, მნიშვნელოვანი“; 2) „მცოდნე, ბრძენი“; 3) „კაშკაშა, მბრწყინავი, ელვარე“; *არს. სახ.* 4) მამაკაცის საკუთარი სახელი;

فروغ بخش [foruqbaxš] *ზედ. სახ.* 1) „დიდებული, მნიშვნელოვანი“; 2) *გადატ.* „მცოდნე, ბრძენი“ 3) „კაშკაშა, მბრწყინავი“;

فرنغمند [foruqmand] *ზედ. სახ.* 1)„კაშკაშა, ელვარე“; 2) „ნათელი“;

کمرنگ [kamrang] *ზედ. სახ.* 1) „მკრთალი; უფერული“; 2) *გადატ.* „სუსტი“;

متجلی [motajalli] *ზედ. სახ.* 1) „აშკარა, ცხადი, თვალნათელი“; 2) „ბრწყინვალე, კაშკაშა, ელვარე“; 2) „აღმოჩენილი, გამოვლენილი“; 3) *იშვ.* „შეცვლილი, გარდაქმნილი“;

مشعشع [moša'ša'] *ზედ. სახ.* 1) „ელვარე, მანათობელი“; 2) „ბრწყინვალე, საუკეთესო“;

منجلی [monjali] *ზედ. სახ.* 1) „ელვარე; კაშკაშა“; 2) „აშკარა, ცხადი“;

منور [monavvar] *ზედ. სახ.* 1) „განათებული, გაბრწყინებული; ნათელი“; *არს. სახ.* 2) ქალის საკუთარი სახელი;

منیر [monir] *ზედ. სახ.* 1) „მანათობელი“; 2) „ნათელი, ელვარე“;

نورانی [nurāni] *ზედ. სახ.* 1) „ნათელი; ბრწყინვალე“; 2) „სიწმინდით გასხივოსნებული“; 3) „სიმპათიური, სანდომიანი“; *არს. სახ.* 4)„სულიერი არსება, ანგელოზი“; 5) „სიწმინდე“;

نیر [nayyer] *ზედ. სახ.* 1) „ნათელი; ელვარე“; *არს. სახ.* 2) „ვარსკვლავი“; 3) ქალის საკუთარი სახელი.

وهاج [vahāj] *ზედ. სახ. მოძვ.* 1) „ელვარე; თვალისმომჭრელად კაშკაშა“; 2)„ბასრი, მჭრელი“;

ნათელთან ასოცირებული ეს ვრცელი ჯგუფი მოიცავს 19 არაბიზმს, 9 დერივატს, 7 დეტერმინანტული კომპოზიტსა და 2 კომპოზიტოიდს.

მოძიებულია 11 გრამატიკული პოლისემანტი:

آذرنگ [āzarrang] **اشهب** [ašhab]; **انور** [anvar]; **بیضاء** [beizā]; **تابان** [tābān]; **روشن** [roušan]; **روشنای** [roušanā(i)]; **صاف** [sāf]; **فرمند** [farmand]; **منور** [monavvar]; **نیر** [nayyer].

გრამატიკულ პოლისემანტთაგან 7 ლექსემა (4 საკუთრივ სპარსული სიტყვა – **آذرنگ** [āzarrang], **تابان** [tābān], **روشن** [roušan], **فرمند** [farmand] და 3 არაბიზმი – **انور** [anvar], **منور** [monavvar], **نیر** [nayyer]) მოიცავს ანთროპონიმულ მნიშვნელობასაც. ამათგან 4 ანთროპონიმი ქალის საკუთარ სახელად გვევლინება (**تابان** [tābān], **روشن** [roušan], **منور** [monavvar], **نیر** [nayyer]), 2 ანთროპონიმი კი მამაკაცის საკუთარი სახელია (**انور** [anvar] და **فرمند** [farmand]), ერთი კი (**آذرنگ** [āzarrang]) დასტურდება როგორც ქალის, ასევე მამაკაცის საკუთარ სახელად. [1]

ზოგიერთი ლექსემა ზედსართავული მნიშვნელობის პარალელურად, არსებითის გარდა, იშვიათად მოიცავს ზმნიზედურ მნიშვნელობასაც, იხ. ზემოთ **روشن** [roušan] და **صاف** [sāf].

روشن [roušan] მხოლოდ ზედსართავსა და ზმნიზედასთანაა მიმართებაში, ხოლო **صاف** [sāf]-ის შემთხვევაში ზედსართავულის პარალელურად დასტურდება როგორც არსებითის, ასევე ზმნიზედის მნიშვნელობა.

ზმნიზედური მნიშვნელობები სტილისტურად მარკირებულია. **روشن** [roušan] „ცხადად, გარკვევით“ მიეკუთვნება მოძველებულ სიტყვათა რიგს, ხოლო **صاف** [sāf]-ის სამივე ზმნიზედური მნიშვნელობა 1) „ჯიუტად, თავხედურად“; 2) „პირდაპირ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე; ღიად, გულწრფელად“; 3) „სუფთად, პირწმინდად, სრულად“ კოლოკვიალიზმადაა ნიშანდებული, ანუ მიკუთვნებულია სასაუბრო სტილს.

თემატური პოლისემია ჩანს 13 პოლისემანტში:

آبگون [ābgun] 1) „წყლისფერი“; 2) „ცისფერი; ლაჟვარდისფერი“; 3) „გამჭვირვალე“; **اشهب** [ašhab] 1) „ნათელი; თეთრი“; 2) „შავ-თეთრი, ნაცრისფერი, ფერფლისფერი“; 3) „ნაცრისფერი ცხენი“; **افروخته** [afruxte] 1) „ნათელი, ანთებული“; 2) „გაბრაზებული; აწითლებული“; **بیضاء** [beizā] 1) „თეთრი“; 2) „ნათელი, ელვარე“; 3) „სითეთრე; ნათელი; ელვარება“; **تابان** [tābān] 1) „ნათელი; მბრწყინავი; ელვარე“; 2) „გამოსხივება“ **روشن** [roušan] 1) „ნათელი“; 2) „ანთებული“; 3) „დაძრული, ამუშავებული“; 4)„მოკაშკაშე, მოელვარე“; 5) „ღია ფერის“; **روشنای** [roušanā(i)]; 1) „ნათელი; ელვარე“; 2) „განათებული ადგილი“; 3) „სარკმელი“; **زرد** [zard] 1) „ყვითელი“; 2) „უფერული (ითქმის სახეზე)“; **سرسبز** [sarsabz] 1) „მწვანე; ამწვანებული; ახლად შეღერებული; გაფურჩქვნილი, აყვავებული“; 2) „კეთილდღეობაში მყოფი; აყვავებული“; 3) „სიცოცხლით სავსე, ხალისიანი“; 4) *მოძვ.* „ნათელი, ელვარე“; **شفاف** [šafāf] 1) „ნათელი; კაშკაშა, ელვარე“; 2) „გამჭვირვალე“; **صاف** [sāf] 1) „ნათელი; სუფთა; გამჭვირვალე“; 2) „ანკარა და უნალექო“; 3) „ანკარა და

[1] ნათელთან დაკავშირებული ანთროპონიმები არაერთ ენაში გვხვდება. იხ. მაგალითად ქართული **ნათელა**, **შუქია**.

უნალექო/შეუმღვრეველი ღვინო“; **فرغمند** [foruqmand] *ზედ. სახ.* 1)„კაშკაშა, ელვარე“; 2) „ნათელი“; **نورانی** [nurāni] *ზედ. სახ.* 1) „ნათელი; ბრწყინვალე“; 2) „სიწმინდით გასხივოსნებული“; 3) „სიმპათიური, სანდომიანი“; *არს. სახ.* 4)„სულიერი არსება, ანგელოზი“; 5) „სიწმინდე“.

ამ პოლისემანტთა მიხედვით, სინათლის/ნათლისა და სიკაშკაშე-ელვარების მნიშვნელობები ასოციაციის საფუძველზე სემანტიკურად ებმის ერთმანეთს, ასევე გამჭვირვალობას, სიანკარე-შეუმღვრევლობას, ზოგადად ღია ფერს, სითეთრეს, ნაცრისფერ-ფერფლისფერს. ნათლისა და ნაცრისფრის ურთიერთმიმართება განპირობებულია ნაცრისფრის ღია, ბაცი ტონალობით, რომელიც მას განასხვავებს მისივე სპექტრის, მაგრამ მუქი ტონალობის რუხისგან.[1] ნაცრისფრის გარდა, **اشهب** [ašhab]-ში შავ-თეთრთანაც ჩანს სემანტიკური ბმა, რისი მიზეზი ნაცრისფრის, როგორც შავსა და თეთრს შორის არსებულ გარდამავალ ფერად გააზრება უნდა იყოს.

ნათელი და სიკაშკაშე-ელვარება ასევე მიმართებაშია მწვანესთან, სავარაუდოდ, მის ბაც, ღია ტონალობის, აყვავებასა და სიქორფესთან ასოცირებულ ელფერთან, იხ. ზემოთ **سرسبز** [sarsabz].

წითელიც ასოცირებულია სიკაშკაშე-ელვარებასთან, იხ. შეზღუდული ვალენტობის, მხოლოდ მძაფრ ემოციებთან, კერძოდ, ბრაზთან ასოცირებული **افروخته** [afruxte].

ნათლისა და სიკაშკაშე-ელვარების თემატურ-სემანტიკური ბმებია ვლინდება გრამატიკულ პოლისემანტებშიც, რომლებიც მოიცავენ ნათლის ცნების გამომხატველ ზედსართავულ მნიშვნელობებსა და იმ არსებით სახელებს, რომლებშიც ასახულია როგორც ნათლის, ასევე ნათელთან ასოცირებული ამა თუ იმ ფერის ცნება. იხ. ზემოთ აბსტრაქტული და კონკრეტული შინაარსის სუბსტანტივური მნიშვნელობები – „სითეთრე; ნათელი; ელვარება“, „გამოსხივება“, „სიწმინდე“; „განათებული ადგილი“, „სარკმელი“, „ნაცრისფერი ცხენი“.

გამჭვირვალობა გარდა სინათლის, სიკაშკაშისა და ელვარებისა, ასოცირდება წყლისფერთან, ცისფერთან და ლაჟვარდისფერთან, იხ. ზემოთ **آبگون** [ābgun].

საკვლევ მასალაში სახის **სიფერმკრთალე** მიმართებაშია **სიყვითლესთან**. ფერის ამ ორი მახასიათებლის მიმართება ცხადად ჩანს ქართულშიც, თუმცა ფერწასულობა აქ უფრო გაფითრება-გათეთრებასთან ასოცირდება. თავად **გაფითრება** ნაწარმოებია ნაწარმოებია ერთ-ერთი მცენარის თეთრი ფერის ნაყოფის სახელწოდებიდან - **ფითრი**.

არათემატური პოლისემიის მაგალითები ცხადყოფს, რომ ნათლის, ბრწყინვალის, გამჭვირვალისა და უფერულის აღმნიშვნელი რიგი პოლისემიური ზედსართავები მოიცავს როგორც დადებითი კონოტაციის, კერძოდ, აყვავებულობის, სიქორფის, არომატულობის, დიდებულების, მდიდრულობის გამორჩეულობის, ხატოვნად ბრწყინვალების, წარმატებულობის, სიწრფელის, სიწმინდის,ზოგადად საუკეთესოობისა და კარგი ზნეობრივ-

[1] ქართულში ამ ტონალობათა სხვაობა ფორმალურადაცაა ასახული – მუქი **რუხი** (მირეული მონოლექსემა) და ღია, ბაცი **ნაცრისფერი** (მიმართებითი და **ნაცრისგან** ნაწარმოები ლექსემა). ეს გარემოება მიგვითითებს, რომ ბერლინისა და ქეის მიერ ბაზისურად მიჩნეულ ფერთა მონოლექსემურობა ან თუნდაც რომელიმე ფერის სახელწოდების მყარი ბაზისურობა (ბერლინი; ქეი, 1969) არ წარმოადგენს უნივერსალურ ენობრივ ფენომენს.

გონებრივი თვისებების მნიშვნელობებს, ასევე მეტ-ნაკლებად ნეიტრალური შინაარსის, ვთქვათ, სიგლუვის, სისწორის, სიცხადის, თვალში საცემობისა და გაფანტულობის [1] მნიშვნელობებსაც.

სამ შემთხვევაში ნათლის, კაშკაშის მნიშვნელობის საფუძველზე განვითარებულ სიტყვათმნიშვნელობებში ჩანს უარყოფითი კონოტაცია:

آذررنگ [āzarrang] 1) *ზედ. სახ.* „ნათელი, ელვარე“; 2) *არს. სახ.* „**დარდი**; **ტანჯვა**“. აქ „დარდისა და ტანჯვის“ მნიშვნელობა განპირობებული უნდა იყოს ნათლისა და ელვარების ასოციაციით ცეცხლთან (შდრ. ქართ. „გულზე ცეცხლი მედება“);

افروخته [afruxte] 1) „ნათელი, ანთებული“; 2) *გადატ.* „გაბრაზებული; აწითლებული“, სადაც „ნათელი, ანთებული“ ასოცირებულია სიწითლესთან. (შდრ. მძაფრი ემოციის, გაბრაზების მიმართება სიწითლესთან – *ქართ.* „აჭარხლებული“ და „აპილპილებული“. ამ უკანასკნელის მნიშვნელობა, შესაძლოა, ეფუძნებოდეს პილპილის როგორც სიწითლეს, ასევე სიცხარეს);

صاف [sāf] *ზმნზდ. მოძვ. სასაუბრო* „ჯიუტად, თავხედურად“;

ამ პოლისემანტის სხვა სიტყვათმნიშვნელობები დადებითი ან ნეიტრალური კონოტაციისაა (იხ. ზემოთ). ვფიქრობთ, მნიშვნელობა „ჯიუტად, თავხედურად“ უნდა მომდინარეობდეს ნეიტრალური მნიშვნელობისგან „პირწმინდად, სრულად“, რადგან ჩანს მიმართებები პირწმინდობას, როგორც შეუფარაობასა და თავხედობას შორის, ასევე სისრულე გარკვეულწილად უკავშირდება კატეგორიულობას და შესაბამისად ჯიუტობას.

کمرنگ [kamrang]-ის ძირითადი და **زرد** [zard]-ის მეორეული მნიშვნელობა „ფერმკრთალიც“ უარყოფითი კონოტაციის შინაარსს მოიცავს, რადგან ფერმკრთალობა, ფერწასულობა სისუსტესა და ავადობას უკავშირდება.

დასტურდება სიმუქე-სიბნელის აღმნიშვნელი შემდეგი ლექსემები (21 ერთეული):

اسمر [asmar] *არაბ. მოძვ.* „მუქი, ბნელი“; **تار** [tār] „ბნელი, მუქი“; **تاریک** [tārik] „ბნელი; მუქი“; **تارین** [tārin] *იშვ.* „ბნელი“; **تیره** [tire]/**تیره رنگ** [tirerang] „მუქი; ბნელი“; **تیره‌وتار** [tirevotar] „ბნელი“; **خشین** [khašin]/**خشینه** [khašine] *მოძვ.* „მუქი ფერი“; **داج** [dāj] *არაბ. მოძვ.* „უკუნი, კუნაპეტი, ძალიან ბნელი (ითქმის ღამეზე)“; **دودی** [dudi] „მუქი“; **دیجور** [deijur] *არაბ. მოძვ.* „ძალიან ბნელი“; **سبزه** [sabze]/ **سبزه‌رو** [sabzeru]/**سبزارنگ** [sabzārang] *მოძვ.* „შავგრემანი; ხორბლისფერი; მუქი ფერის(ითქმის კანზე)“; **سیاه** [siyāh] *ზედ. სახ.* 1) „ბნელი; კუნაპეტი“; 3) „მუქი, ბურუსით მოცული“; **ظلمت زده** [zolmatzade] *არაბ.-სპარს.* „ძალიან ბნელი“; **عودی** [udi] *არაბ.-სპარს.* „მუქი“; **کبود** [kabud] „ბნელი, ბუნდოვანი“; **کدر** [kader/keder] „მქრქალი, გაუმჭვირვალე“; **گندمگون** [gandomgun] „შავგვრემანი“; **گندمی** [gandomi] „მუქი, ხორბლისფერი“; **مظلم** [mozlem] *არაბ. მოძვ.* „ბნელი“; **موژان** [mužān] *მოძვ.* „მუქი (ითქმის თვალზე)“.

ამ ლექსიკურ ჯგუფში გავრცელებულობის მიხედვით დომინანტურია **تاریک** [tārik][2] და **تیره** [tire].

ჩამოთვლილ სიტყვათაგან 10 ერთეული (**اسمر** [asmar]; **تار** [tār]; **تاریک** [tārik]; **تارین** [tārin]; **تیره**

[1] გაფანტულობის შინაარსი, როგორც ჩანს, სინათლის ამ თვისების გამოა წარმოდგენილი ნათლისა და ბრწყინვალების აღმნიშვნელ პოლისემიურ ზედსართავებში, იხ, **ساطع** [sāte’] 1) „**ელვარე**, **მანათობელი**“; 2) *მოძვ.* „აშკარა, ცხადი“; 2) *მოძვ.* „**გაფანტული**; გამოქვეყნებული“;

[2] **تار** [tār] და **تارین** [tārin] არ გვევლინებიან ჯგუფის დომინანტებად, რამდენადაც პირველს აქვს ომონიმები, ხოლო მეორე იშვიათად ხმარებულია.

[tire]/**تیره رنگ** [tirerang]; **تیره‌وتار** [tirevotar]; **مظلم** [mozlem] ფაქტობრივად ქმნის სინონიმურ მწკრივს, რომლის ჰიპონიმებად მოიაზრება:

სიბნელის ხარისხის გამომხატველი სინონიმები **دیجور** [deijur], **ظلمت زده** [zolmatzade] „ძალიან ბნელი“, **کبود** [kabud] „ბნელი, ბუნდოვანი“ და შეზღუდული ვალენტობის ლექსემები – **داج** [dāj] „უკუნი, კუნაპეტი, ძალიან ბნელი (ითქმის ღამეზე)“; **سبزه** [sabze]/**سبزارنگ** [sabzārang] /**گندمگون** [gandomgun]/**گندمی** [gandomi] „შავგვრემანი; ხორბლისფერი, მუქი ფერის(ითქმის კანზე)“ და **موژان** [mužān] *მოძვ.* „მუქი (ითქმის თვალზე)“.

მუქისა და ბნელის მნიშვნელობის ზედსართავები ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, მეტწილად ერთგვაროვანია. გვხვდება 4 არაბიზმი: **اسمر** [asmar], **داج** [dāj], **دیجور** [deijur], **مظلم** [mozlem] და 2 ჰიბრიდული (არაბულ-სპარსული) სიტყვა - **ظلمت زده** [zolmatzade] (*არაბ.* **ظلمت** [zolmat] „სიბნელე, წყვდიადი, უკუნი“+*სპარს.* **زده** [zade] „*ნამყოს მიმღეობა* დაკრული“) და **عودی** [udi] (*არაბ.* **عود** [ud] „ალოეს ხე“+*სპარს. სუფიქსი* **ی** [-i]).

სტილისტურად მარკირებულია 8 ლექსიკური ერთეული – 7 არქაიზმი: **اسمر** [asmar], **خشین** [khašin], **داج** [dāj], **دیجور** [deijur], **سبزارنگ** [sabzārang], **مظلم** [mozlem] და **موژان** [mužān] და ერთი იშვიათად ხმარებული სიტყვა – **تارین** [tārin].

წარმოდგენილია 7 დერივატი:

სუფიქს -**i**-თი ნაწარმოები **دودی** [dudi] (*სიტყვასიტყვით* „კვამლისა“); **عودی** [udi] (*სიტყვასიტყვით* „ალოეს ხისა“), **گندمی** [gandomi] (*სიტყვასიტყვით* „ხორბლისა“), -**in**-ით ნაწარმოები **تارین** [tārin], სადღეისოდ არაპროდუქტიული -**ik** სუფიქსით ნაწარმოები და **تاریک** [tārik], -**e** სუფიქსით ნაწარმოები **خشینه** [khašine] და **سبزه** [sabze].

تار [tār]-ზე -**in** და -**ik** სუფიქსთა დართვამ არ შეცვალა მისი შინაარსი და **تار** [tār]/ **تارین** [tārin]/ **تاریک** [tāriik] ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე სიტყვის ფონეტიკურ ვარიანტებად გვევლინება. ანალოგიურად სუფიქსური დერივატი **خشینه**[khašine] წარმოადგენს **خشین** [khašin]-ის ფონეტიკურ ვარიანტს. ამგვარი ვითარება იყო თავდაპირველად სუფიქსური **سبزه** [sabze]-ს შემთხვევაში, რომლის სადღეისოდ მოძველებული მნიშვნელობა „მწვანე“ სრულად ემთხვეოდა **سبز** [sabz]-ის შინაარსს (ანვარი, 2002). შემდგომ **سبزه** [sabze]-მ ხორბლისფრის, შავგვრემანის მნიშვნელობაც მიიღო.

დასტურდება 5 კომპოზიტი:

ორი სინონიმისაგან შემდგარი კოპულატური **تیره‌وتار** [tirevotar]; დეტერმინანტული **تیره‌رنگ** [tirerang] (*სიტყვასიტყვით* „მუქი ფერისა“); **گندمگون** [gandomgun] (*სიტყვასიტყვით* „ხორბლისფერისა“); **سبزه‌رو** [sabzeru] (*სიტყვასიტყვით* „მწვანე>ხორბლისფერი სახისა“); **سبزارنگ** [sabzārang] (*სიტყვასიტყვით* „მწვანე>ხორბლისფერისა“); და ასევე დეტერმინანტული და ნამყოს მიმღეობით (**زده** [zade]) ნაწარმოები **ظلمت‌زده** [zolmatzade] *(სიტყვასიტყვით* „სიბნელედაკრული, წყვდიადდაკრული“).

سبزه [sabze]**سبزه‌رو** / [sabzeru]**سبزارنگ** / [sabzārang]/**گندمی** [gandomi]/**گندمگون** [gandomgun] ქმნიან სინონიმურ მწკრივს.

პოლისემიურია განსახილველი ჯგუფის 17 ლექსემა:

اسمر [asmar] *ზედ. სახ. მოძვ.* 1) „მუქი, ბნელი“; 2) „ხორბლისფერი“;

تار [tār] *ზედ. სახ.* 1) „ბნელი; მუქი“; 2) „მქრქალი, გაუმჭვირვალე“; 3) „ცუდად მხედველი“; 4) *ზმნზდ.* „დაბინდულად (მხედველობაზე)“;

تاریک [tārik] *ზედ. სახ.* 1) „ბნელი“; 2) „შავი ფერის, მუქი“; 3) „უიმედო, სასოწარკვეთილი“; 4) „არეული, მშფოთვარე“; 5) *მოძვ.* „მცდარი, ცუდი“ 6) *მოძვ.* „სევდიანი“; 7) *მოძვ.* „ფლიდი, გზასაცდენილი, ავისმქნელი“;

تیره [tire] *ზედ. სახ.* 1) „შავი, მოშავო“; 2) „მუქი; მკვრივი“; 3) „ბნელი“; 4) „დასვრილი, ბინძური“; 5) „გაფუჭებული, დანგრეული“; 6) *მოძვ. გადატ.* „ტანჯული, სევდიანი“; 7) *მოძვ.* ბრმა;

تیره‌وتار [tirevotar] *ზედ. სახ.* 1) „შავ-ბნელი (ფერისა)“; 2) „ბნელი“; 3) „გაფუჭებული; დანგრეული“;

خشین [khašin]/**خشینه** [khašine] *ზედ. სახ.* 1) „მუქი ლურჯი; 2) „შავი“; 3) „ნაცრისფერი“; 4) „მუქი ფერის“; *არს. სახ.* 5) „შევარდენი შავ-თეთრი ბუმბულებით“; 6) „შევარდენი, რომლის ზურგი მუქი ლურჯი ან შავია და შავი თვალები აქვს“;

داج [dāj] *მოძვ.* 1) *ზედ. სახ.* „უკუნი, კუნაპეტი, ძალიან ბნელი (ითქმის ღამეზე)“; *არს. სახ.* 2) „უკუნი, კუნაპეტი ღამე“; 3) „სიბნელე, წყვდიადი“;

دودی [dudi] *ზედ. სახ.* 1) „ღია შავი ფერი; მონაცრისფრო შავი“; 2) „მუქი“; 3) „შებოლილი“; 4) „კვამლიანი“; 5) „მწეველი“;

دیجور [deijur] *ზედ. სახ. მოძვ.* 1) „ძალიან ბნელი“; *არს. სახ.* 2) „ბნელი, უმთვარო ღამე“;

سبزارنگ [sabzārang] *მოძვ.* 1) „მწვანე“; 2) „შავგრემანი; ხორბლისფერი“; *არს. სახ.* 3) *მუსიკ.* „ბარბადის (ხოსროვ ფარვიზის კარის ცნობილი მუსიკოსის) ერთ-ერთი მოტივთაგანი“; 4) *მუსიკ.* „ერთ-ერთი ძველებური ირანული მოტივი“;

سبزه [sabze] *არს. სახ.* 1)მწვანილი, მწვანე ბალახი; *ზედ. სახ.* 2)ხორბლისფერი; შავგვრემანი;

سیاه [siyāh] *ზედ. სახ.* 1) „შავი“; 2) „ბნელი; კუნაპეტი“; 3) „მუქი, ბურუსით მოცული“; 4) *სასაუბრო* „ბნელი, მტანჯველი“; 5) „ავისმომასწავებელი“; 6) *სასაუბრო* „პესიმისტური; უღიმღამო“; 7) *სასაუბრო* „ღირებულებას მოკლებული, მდაბიური“; 8) *სასაუბრო* „ცოდვიანი, ცოდვილი“; 9) *სასაუბრო* „ჭუჭყიანი, დასვრილი“; *არს. სახ.* 10) „შავკანიანი“; 11) *მუს.* „მუსიკალური ბგერის ხანგრძლივობის აღმნიშვნელი ტერმინი, შეესაბამება ერთ მეოთხედს“; 12) *მოძვ.* „შავი ცხენი“; 13) *სასაუბრო* „შავი ქსოვილი ან სამოსი; ძაძა“;

عودی [udi] *ზედ. სახ.* 1) „შავი; 2) „მუქი“;

کبود [kabud] *ზედ. სახ.* 1) „ლურჯი“; 2) „ცისფერი, ლაჟვარდისფერი“; 3) „მოცისფრო; მონაცრისფრო“; 4) „შევერცხლილი, ჭაღარა“; 5) „ნაცრისფერი (ითქმის ცხენის ფერზე)“; 6) „დალურჯებული, ჩაშავებული“; 7) „ბნელი, ბუნდოვანი“;

کدر [kader/keder] *ზედ. სახ.* 1) „მქრქალი, გაუმჭვირვალე“; 2) „მღვრიე“; 3) „უგუნებოდ მყოფი, ნაღვლიანი; განაწყენებული“; 4) „პირქუში, მოღუშული“;

گندمی [gandomi] *ზედ. სახ.* 1) „ხორბალთან დაკავშირებული“; 2) „თეთრსა და მწვანეს შორის“; 3) „მუქი“;[1] *არს. სახ.*4) „ოთახის მარადმწვანე მცენარის სახეობა **مظم** [mozlem] *ზედ. სახ. მოძვ.* 1) „ბნელი“; 2) „პირქუში, საშიში“;

[1] **گندمی** [gandomi] მოიცავს ენანტიოსემიურ მნიშვნელობებს 1) „თეთრსა და მწვანეს შორის“, ანუ **ღიასა** და 2) „მუქს“.

موژان [mužān] *მოძვ.* 1) „ბნელი, მუქი“ (ითქმის თვალზე); 2) „მიბნედილი; კეკლუცი“;

პოლისემანტთა სიტყვათმნიშვნელობების მაქსიმალური რაოდენობა 7.

დასტურდება 6 გრამატიკული პოლისემანტი:

تار [tār]; **خشین** [khašin]/**خشینه** [khašine]; **داج** [dāj]; **دیجور** [deijur]; **سیاه** [siyāh]; **گندمی** [gandomi].

ექვსივე სიტყვა მოიცავს როგორც სუბსტანტივურ, ასევე ზედსართავულ მნიშვნელობას. **تار** [tār] გვევლინება შეზღუდული ვალენტობის ზმნიზედადაც მნიშვნელობით – „დაბინდულად (მხედველობაზე)“.

თემატური პოლისემია 14 ლექსემითაა წარმოდგენილი:

اسمر [asmar]; **تار** [tār]; **تاریک** [tārik]; **تیره** [tire]; **تیره و تار** [tirevotar]; **خشین** [khašin]/**خشینه** [khašine]; **دودی** [dudi]; **سبزارنگ** [sabzārang]; **سیاه** [siyāh]; **عودی** [udi]; **کبود** [kabud]; **گندمگون** [gandomgun]; **گندمی** [gandomi]; **موژن** [mužān].

თემატურ პოლისემანტებში სიბნელე-სიმუქე ასოცირებულია სიმქრქალესთან (შდრ. საპირისპიროდ ნათლის მიმართება გამჭვირვალობასთან), შავ, მუქ ლურჯ, მწვანე, ხორბლისფერ და ასევე ნაცრისფერ ფერებთან.

სიბნელე-სიმუქის ხორბლისფერთან, ნაცრისფერთან, ცისფერთან, ლაჟვარდისფერთან, მწვანესთან, თეთრთან, შევერცხლილთან და ჭაღარასთან მიმართებისას გარკვეულწილად საქმე გვაქვს ენანტიოსემიასთან, რაც გულისხმობს პოლისემანტში ან ერთსა და იმავე სინონიმური ტიპის ჯგუფში საპირისპირო, ანტონიმურ მნიშვნელობათა თანაარსებობას.

ხსენებული ენანტიოსემია თვალნათლივია პოლისემანტში **کبود** [kabud], რომელიც მოიცავს ნათელთან ასოციაცირებული ნაცრისფრისა და ცისფრის სიტყვათმნიშვნელობებს.

რაც შეეხება ხორბლისფერს, **اسمر** [asmar]-ში ის ასოცირებულია მწიფე, შესაბამისად, მუქი ფერის ხორბალთან, ხოლო ენანტიოსემიური **گندمی** [gandomi]-ის შემთხვევაში მოუმწიფებელ მომწვანო თეთრი ფერის მოუმწიფებელ ღია, ბაც ხორბალთან და მწიფე და მუქი ფერის ხორბალთანაც. მუქი ფერის მნიშვნელობას მოიცავს ასევე

ბნელისა და მუქის აღმნიშვნელ ზედსართავთა არათემატური პოლისემია განპირობებულია სიბნელე-სიმუქის ასოციაციით უარყოფითი შინაარსის სხვადასხვა ცნებებთან: სიბრმავესთან, ჭუჭყთან, სევდასთან, ტანჯვასთან, მშფოთვარებასთან, პირქუშობასთან, წახდენასთან, ავის ქმნასთან.

ერთ შემთხვევაში სიბნელე-სიმუქე ასოცირებულია სიმკვრივესთანაც:

تیره [tire] 1) „შავი, მოშავო“; 2) „მუქი; **მკვრივი**“; 3) „ბნელი“; 4) „დასვრილი“, ბინძური; 5) „გაფუჭებული, დანგრეული“; 6) „ტანჯული, სევდიანი“; 7) *მოძვ. გადატ.* „ბრმა“.

სიბნელე-სიმუქის ხორბლისფერთან, ნაცრისფერთან, ცისფერთან, ლაჟვარდისფერთან, მწვანესთან, თეთრთან, შევერცხლილთან და ჭაღარასთან მიმართებისას გარკვეულწილად საქმე გვაქვს ენანტიოსემიასთან, რაც გულისხმობს პოლისემანტში ან ერთსა და იმავე სინონიმური ტიპის ჯგუფში საპირისპირო, ანტონიმურ მნიშვნელობათა თანაარსებობას. ერთ შემთხვევაში ჩანს სიბნელე-სიმუქის ასოცირება სიმკვრივესთანაც.

ამრიგად, ფერის თვისებათა სახელწოდებები ქმნიან პოლისემიურ სისტემას, რომელშიც ნათლად იკვეთება თემატური და არათემატური მიმართებები.

ლიტერატურა:

1. ანთაძე-მალაშხია, ფ. (2026). ფერის ცნებისათვის სპარსულში, კულტურის ისტორიის საკითხები, 39, 71-87, თსუ-ის გამომცემლობა.
2. ალიაქბარი, მ. (2025) – Aliakbari M., Khosravian F., A Corpus Analysis of Colour-Term Conceptual Metaphors https://www.researchgate.net/publication/257718052_A_Corpus_Analysis_of_Color-Term_Conceptual_Metaphors_in_Persian_Proverbs
3. ამუზადე, მ. (2012) – Amouzadeh, M., Tavangar, M.&Sorahi, M. A Cognitive Study of Colour Terms in Persian and English//Procedia – Social and Behavioral Sciences 32, pp. 238-245.
4. ბერლინი, ბ. (1969) – Berlin, B.&Kay, P. Basic Colour Terms: Their Universality and Evolution, Berkeley and Los Angeles: University of California Press.
5. ვეჟბიცკა (1996) – Вежбицка, А. Язык, культура, познание, Москва: Русские словари.
6. ლუსი, ჯ. (1997) – Lucy, J. The Linguistics of 'Colour'//Colour Categories in Thought and Language, Cambridge University Press, pp. 320-346.
7. სეპირი, ე. (1921) – Sapir, E. An Introduction to the Study of Speech, New York: Harcourt, Brace
8. ფაშალიშვილი, თ. (1991). ფერის აღმნიშვნელი ლექსიკა სპარსულ ენაში, თბილისი (სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად).
9. უორფი, ლ. (1956) – Whorf, L. – Language, Thought, and Reality Selected Writings, Cambridge, Masachtsetts: The Mit Press
10. ფრუმკინა, რ. (1984) – Фрумкина, Р. Цвет, смысл, сходство: аспекты психолингвистического анализа,11, Москва: Наука.
11. ღაფელი (2014) – Ghafel, B., Mirzaie, A. Colours in Everyday Metaphoric Language of Persian Speakers//Procedia – Social and Behavioral Sciences 136, pp. 133-143.
12. ჯგერენაია, გ. (2025) – ფერის აღმნიშვნელ რიგ სპარსულ სახელწოდებათა ლექსიკურ-სემანტიკური და დერივაციული დახასიათება (სამაგისტრო ნაშრომი) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
13. ჰერინგი, ე. (1920) – Hering, E., Grundzüge der Lehre vom Lichtsinn, Berlin: Springerlllllll

გამოყენებული ლექსიკონები:

1. აბადისი – Abadis Dictionary https://abadis.ir
2. ანვარი (2002) – Anvari, H.(Ed.), Sokhan Comprehensive Dictionary (فرهنگ بزرک سخن), vol. I-VIII, Tehran, 1381/2002.
3. რუბინჩიკი, ი. (1985) – Рубинчик, Ю. Персидско-русский словарь, т. I-II, Москва: Русский язык.

Fatman Antadze, Giorgi Jgerenaia
Iv.Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
e-mail: fati.antadze@yahoo.com
e-mail: giorgi.jgerenaia818@hum.tsu.edu.ge

https://doi.org/10.52340/lac.2026.36.02
SJIF 2026: 8.679

Persian Names of Colour Properties

Abstract

Persian adjectives corresponding to the general properties of colour are divided into two groups:

I - terms denoting **lightness, brilliance, transparency, and colourlessness** (35 lexical units), and II - designations expressing **darkness, depth of colour and dullness** (21 lexical units).

These words are examined in terms of their etymological origin, morphological structure, stylistic marking and polysemy.

The two groups together comprise 23 Arabic loanwords, 16 archaisms, 4 colloquialisms, 12 suffixal derivatives, 2 compound-like formations and 12 compounds.

The first group embraces 30 polysemantic units. Among them, 11 are grammatically polysemantic and 10 are thematically polysemantic units. The second group consists of 17 polysemantic units, out of which 6 are grammatically polysemantic and 14 are thematically polysemantic units.

Grammatically polysemantic units are mostly comprised of nominal and adjectival meanings. In rare cases, there are adverbial meanings as well (e.g., **صاف** [sāf] *adj.* 1) "clear, pure, transparent"; 2) "benign "; *noun* 3) *colloquial* "pure and sediment-free wine"; *adverb* 4) *colloquial* "directly, openly, earnestly").

In case of nominalization of the units under analysis, certain anthroponyms have been found (for instance, female proper name **تابان** [tābān] "bright, clear, shining"; male proper name **فرمند** [farmand] 1) "bright, clear, shining"; 2) "wise, knowledgeable").

There are rare cases of adjectives of restricted valency (e.g., **داج** [dāj] *archaic* "dark, pitch-dark (referring to night)".

Clear and **bright** are, in case of thematic polysemy, associated with transparency, light colour in general, whiteness, as well as grey-ashen, red and green (e.g., **اشهب** [ašhab] *archaic* 1) "light, white"; 2) "black and white, grey"; **افروخته** [afruxte] 1) "clear, lit"; 2) "flushed with anger"; **سرسبز** [sarsabz] 1) "green; lush green; 2) *archaic* "clear, shining").

Non-thematic polysemantic associations reveal the connection of **clear** and **shining** with meanings of positive or neutral connotation (for instance, **صاف** [sāf] 1) "clear, pure, transparent"; 2) "benign"; 3) "smooth").

In rare cases, the meanings based on the concepts of **brightness** and **shining** have negative connotation **آذررنگ** [āzarrang] 1) *adj.* "clear, shining"; 2) *noun.* "sorrow, suffering". In this case, the meaning of **sorrow** and **suffering** is based on the association of brightness and shining with fire and burning.

In case of thematic polysemy, **darkness** and **dark colour** are associated with dullness, black, dark blue, grey, wheaten and green (e.g., **خشین** [khašin] 1) "dark blue"; 2) "black"; 3) "grey"; 4) "dark-coloured"; **سبزارنگ** [sabzārang] *archaic* 1) "green"; 2) "dark-skinned; wheaten"). There is one case of enantiosemy – **گندمی** [gandomi] 1) "between white and green", i.e. **light-coloured**; 2) "dark".

The basis of non-thematic polysemy in case of **darkness/dark colour** is the association with various negative concepts (for instance, **مظلم** [mozlem] *archaic* 1) "dark"; 2) "gloomy, threatening").

In one case, **darkness/dark colour** is associated with positive connotation – **موژان** [mužān] *archaic* 1) "dark, dark-coloured" (referring to eyes); 2) „languorous; flirtatious."

The polysemantic connection of **grey** and **green** with **light** and **dark** reflects the association of these two units with both **light** and **dark** hues of colour.

რეცენზენტი: პროფესორი ალექსანდრე კოვტუნი